მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის კომისიის

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

მესტია

2024

შესავალი

მესტიის მუნიციპალიტეტის (შემდგომში მუნიციპალიტეტი) საკრებულოს ეკონომიკის საკითხთა და ტურიზმის განვითარების კომისია (შემდგომში კომისია) წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია:

- საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადება;
- გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა;
- მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი.

ამ მიზნების მისაღწევად კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის წესების დადგენის შესახებ;
- ადგილობრივი შესყიდვების დაგეგმვისა და ადგილობრივი შესყიდვების გეგმების პროექტის შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის ქონების შეძენის, ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესახებ;
- კერძო სამართლის იურიდიული პირების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის პროექტის დამტკიცების;
- თვითმმართველი ერთეულის ქონების განკერძოების პროგრამების და ამ პროგრამების შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო საწყისი ფასისა და სარგებლობის ქირის ოდენობის დადგენის; თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონით ფორმის პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპიური ფორმის დადგენის შესახებ;
- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის წესების დადგენის შესახებ;
- ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების პროგრამების პროექტების დამტკიცების შესახებ;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის წესების დადგენის შესახებ;

- თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ კომუნალური მეურნეობის მართვის წესების დამტკიცების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ტურიზმის განვითარების პროექტების, ტურისტული მარშრუტების ორგანიზებისა და ტურისტული ნაკადების რეგულაციური წესების შესახებ;

წინამდებარე დოკუმენტი აყალიბებს კომისიის სტრატეგიული ხედვის აღწერას, ამოცანებსა და 2024 წლის სამოქმედო გეგმას, ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად. სამოქმედო გეგმის შედგენისას გათვალისწინებული იქნა კომისიის მიერ 2024 წლამდე დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობები, ამასთან, გეგმა ეფუძნება კომისიის მიმდინარე საჭიროებების ანალიზის შედეგებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა თვისობრივად ახალ და განსახვებულ ფორმატში შემუშავდა. კერძოდ, განახლებული გეგმის ფორმატი ეყრდნობა შედეგებზე ორიენტირებული მართვისა (RBM) და მტკიცებულებებზე დაფუძნებულობის პრინციპებს (EBPM) და შესაბამისობაშია თანამედროვე საჯარო მმართველობის სტანდარტებთან. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შემუშავდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, რაც გულისხმობდა, როგორც საკრებულოს კომისიის წევრებისთვის აგრეთვე აპარატის თანამშრომელთათვის ჩატარებულ ტრენინგებს ასევე, კონსულტაციებს უშუალოდ გეგმის შემუშავების პროცესში. გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტები, რომელიც არსებობს როგორც ცენტრალურ ასევე ადგილობრივ დონეზე

1. სტრატეგიული დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების განვითარების დოკუმენტის მიხედვით მუნციპალიტეტის ხედვა შემდეგნაირად არის განსაზღვრული:

“მესტიის, როგორც მდგრადი ტურისტული ცენტრის გლობალური პოზიციონირების გასაძლიერებლად შევინარჩუნებთ და ღირსეულად წარმოვაჩენთ სვანეთის კულტურულ, ისტორიულ და არქიტექტურულ მემკვიდრეობას; დავნერგავთ განახლებადი ენერგიის გადაწყვეტილებებს, ხელს შევუწყობთ ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას, სოციალურ კეთილდღეობასა და დინამიურ ინფრასტრუქტურულ განვითარებას. მდგრადი განვითარების და ადგილობრივი ბიოპროდუქტების წარმოების მხარდაჭერით ჩვენ გავაუმჯობესებთ ცხოვრების ხარისხს ყველა მაცხოვრებლისთვის და შევქმნით ეკოლოგიურ ინიციატივებსა და საუკეთესო პრაქტიკებზე დაფუძნებულ დივერსიფიცირებულ ეკონომიკას”

დოკუმენტის მიხეედვით კომისიისთვის რელევანტურ სფეროებში, სტრატეგიული განვითარების მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს:

მიზანი 1. მესტიის მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დივერსიფიკაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა.

ამოცანა 1.1. მესტიის მუნიციპალიტეტში მდგრადი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ხელშეწყობა.
ამოცანა 1.2. მესტიის მუნიციპალიტეტში ხე-ტყისა და გარემოს ეფექტური მართვის სისტემის დანერგვის ხელშეწყობა
ამოცანა 1.3. მესტიის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა
ამოცანა 1.4. მესტიის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი პროექტების განხორციელება ადგილობრივი ენდემური მარცვლეული ჯიშების და სხვა კულტურების აღორძინებისთვის
ამოცანა 1.5. მესტიის მუნიციპალიტეტში ურბანული განვითარებისა და საბაზისო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა.
ამოცანა 1.6. საცხოვრებლად და ბიზნესისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ბუნებრივი კატასტროფების და სტიქიური მოვლენების პრევენციის მექანიზმების დანერგვა.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის და პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით შემოსულობები 31 511 540 ლარით განისაზღვრა საიდანაც 15 154 900 ლარი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაში დაიხარჯება.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის და სხვა დარგების განვითარებას. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია,
- წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება
- მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

2. კომისიის საქმინობის მარეგულირებელი და სხვა რელევანტური ნორმატიული აქტები

კომისია საკუთარ საქმიანობის პროცესში იყენებს შემდეგ საკანონმდებლო აქტებს:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“
3. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“
4. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ”

კომისიის საქმიანობის რელევანტური მიმართულებებით მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია და მოქმედებს საკრებულოს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილება **“მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ”**
2. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილება **“მესტიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ”**
3. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის №29 დადგენილება **“მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”**

3. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs)

მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის გამგებლობას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით, 17 მდგრადი განვითარების მიზნიდან 3 მიზანი არის რელევანტური:

- მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა
- მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები
- მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

4. სიტუაციის ანალიზი

კომისიის უფლებამოსილებას მიკუთვნებული დარგების განვითარება ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას, მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და დარგობრივ სტრატეგიებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია 1 დაბის და 160 სოფლის ტიპის დასახლება, რომლებიც გაერთიანებული არიან 1 სადაბო და 16 ადმინისტრაციულ ერთეულში. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი.

მესტიის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 11 575 ადამიანს (2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 9,316 ადამიანს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0,25%-ია.) მათ შორის 5785 ქალი, 5790 კაცი. მათგან დაბაში ცხოვერობს 2613 (22%), ხოლო 8962 (78%) ნაწილდება სასოფლო დასახლებებზე. დაბაში მცხოვრები ქალების რაოდენობა შეადგენს 1408, კაცების - 1205; სოფლად მცხოვრები ქალების რაოდენობა 4377-ია, ხოლო კაცების 4585

მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ძირითადი წამყვანი დარგებია: ენერგეტიკა, ტყის გადამამუშავებელი მრეწველობა, ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით მესტიის მუნიციპალიტეტში დასაქმება და ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა მზარდია. მესტიის მუნიციპალიტეტში 2702 ერთეული ეკონომიკური სუბიექტია რეგისტრირებული, მ.შ.-ის მოქმედია - 772, ხოლო ახლადრეგისტრირებული - 226. მესტიის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს პირველ რიგში ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ასევე ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობა. მესტიის კონკურენტული უპირატესობებიდან, აგრეთვე ნიშანდობლივია ბუნებრივი რესურსები, განსაკუთრებით ჰიდროლოგიური რესურსი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის ეფექტურად ათვისებული. რაც შეეხება ხე-ტყის გადამუშავებას, მოცემული დარგი მესტიის მუნიციპალიტეტში მეტად განვითარებულია, თუმცა არსებობს განვითარების დამატებითი სხვადასხვა შესაძლებლობები, როგორიცაა მაგალითად ხე-ტყის წარმოებიდან მიღებული ნარჩენების გადამუშავება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზემო სვანეთში მოპოვებული ხის მასალა გადის ექსპორტზე თურქეთის რესპუბლიკაში. აგრეთვე, ექსპორტზე გადის მუნიციპალიტეტში გამომუშავებული ელექტროენერგიის ნაწილიც.

მესტიის მუნიციპალიტეტს კონკურენტული უპირატესობა გააჩნია აგრეთვე ტურიზმში. მისი შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტები და უნიკალური ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა მიმზიდველია საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორებისთვის. ზემო სვანეთი შედის UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში უშგულის სოფ. ჩაჟაშით, რომელიც „მთის პეიზაჟის განსაკუთრებული მაგალითია შუა საუკუნეების ტიპის სოფლებით და კოშკებით“

მესტიაში არსებობს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის უნიკალური მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია სვანეთის უმდიდრესი ეთნოკულტურული მემკვიდრეობა. აღსანიშნავია, რომ მესტიაში ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ეკონომიკური განვითარებისთვის არის არასტაბილური ენერგო მომარაგება. 2023 წლის აგვისტოს მდგომაროებით, მუნიციპალიტეტში არ არის სტაბილური და სანდო ელექტროენერგიის მიწოდება უზრუნველყოფილი, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაუმართავობით. ერთ-ერთი მიზეზი კი, რის გამოც ვერ ხერხდება ელექტროენერგიის სრულფასოვანი და შეუფერხებელი მიწოდება, მათ შორის ინფრასტრუქტურის განახლება მესტიის მოსახლეობისთვის ისაა, რომ ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დღემდე გარკვეული მიზეზების გამო მესტიის მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს ელექტროენერგია მიეწოდება უფასოდ.

ტურიზმი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში წარმმართველი და ყველაზე მეტად განვითარებული ტურიზმის სექტორია, რომელიც ძირითადად სათავგადასავლო, სპორტული (სათხილამურო და მთამსვლელობის), კულტურულ-შემეცნებითი, გასტრონომიული და ეკო მიმართულებით ვითარდება. მესტია თავისი ბუნებით და სანახაობებით ძალიან მიმზიდველია ადგილობრივი და უცხოელი დამსვენებლებისთვის. ტურისტული პერიოდი წლის ოთხივე სეზონს მოიცავს, აშენებულია ორი სამთო კურორტი მაღალი ხარისხის სათხილამურო ტრასებით. მზარდია ალპინიზმთან და სხვა ექსტრემალურ სპორტთან დაკავშირებული ღონისძიებები 2020 წელს გლობალური პანდემიის გავრცელებამ ხელი შეუშალა მსოფლიოში ტურისტულ მოგზაურობებსა და დაგეგმილ ღონისძიებებს. პანდემიამ დიდი პრობლემები შეუქმნა ტურიზმის სფეროში დასაქმებულ ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს. თუმცა, 2021 წელს საზღვრების გახსნამ და საჰაერო ფრენების აღდგენამ ტურიზმი ნელ-ნელა დაუბრუნა ჩვეულ რიტმს.

სათხილამურო კურორტებს მესტიაში უდიდესი პოტენციალი აქვს. 2021 წელს უმნიშვნელოვანესი ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტი - ჰაწვალის თანამედროვე და გაუმჯობესებული საბაგირო გაიხსნა. საბაგიროს მშენებლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან დაიხარჯა 7 500 000 ევრო. მნიშვნელოვანი შესაძლებლოობაა რომ თეთნულდის სათხილამურო ტრასები დაუკავშირდეს მულახის ადმინისტრაციულ ერთეულს. გზა მესტიიდან თეთნულდის საბაგირომდე 30 კმ სიგრძისაა, ხოლო ბოლო 8 კილომეტრი ცუდ მდგომარეობაშია. ახალი საბაგირო გზის მშენებლობა შესაძლებლობას მისცემს მულახის დასახლებას რომ განვითარდეს და იქცეს სამთო-სათხილამურო კურორტად (11 ისტორიული სოფელი), სადაც შესაძლებელია 5000-მდე საწოლი ადგილის მოწყობა, ისე რომ არ დაიკარგოს ისტორიული განაშენიანების ხიბლი და სოფლების პერიმეტრი.

არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელიც ტურისტებისთვის ქმნის გარკვეულ დისკომფორტს და ზოგადად პრობლემურია საერთო ტურისტული გამოცდილებისთვის. ასეთი ტიპის გამოწვევებს მიეკუთვნება მაგალითად ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის არასტაბილური ფუნქციონირება კოვიდ-19 პანდემიის დროს.

მესტიის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი მესტიის ცენტრში (სეტის მოედანი) დაარსდა 2010–2011 წლებში დაბა მესტიის რეაბილიტაციის პროექტის დასრულებისას, მესტიის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის თანამშრომლობის ფარგლებში. საინფორმაციო ცენტრის მიზანი იყო ტურისტების ინფორმირება არსებული ტურისტული ზონებისა და სერვისების შესახებ. „საინფორმაციო ცენტრი“ თანამშრომლობდა საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაციის გაერთიანებულ ქსელში არსებულ სხვა საინფორმაციო ცენტრებთან ვიზიტორთა რეგისტრაციის, სტატისტიკის, გამოკითხვისა და სხვა კვლევების განსახორციელებლად. ეს გამოცდილება საფუძვლად დაედო ადგილობრივი DMO-ს დაარსებას და შემდგომ ფუნქციონირებას.

აგრეთვე, პრობლემურია საზოგადოებრივი საპირფარეშოების არარსებობა, რაც განსაკუთრებით ხელისშემშლელია ჰაწვალისა და თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტებზე. მესტიისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ფუნქციონირებს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) „შანლანდი“, რომელიც საერთოა ზემო და ქვემო სვანეთისთვის და პასუხისმგებელია ტურიზმის მდგრად განვითარებაზე. სვანეთის DMO აქტიურად არის ჩართული ყველა ძირითად ტურისტულ და სამთო-სპორტის ღონისძიების ორგანიზებაში, როგორიცაა ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ტური (Freeride World Tour Qualifier) და საერთაშორისო ლაშქრობის ფესტივალი „სვანეთის ლაშქრობის კვირეული”. DMO საბიუჯეტო ორგანიზაციაა და ფინანსდება მესტიის და ლენტეხის მუნიციპალიტეტების მიერ.

5. კომისიის სტრატეგიული ამოცანები

კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში. კერძოდ, აქტიურად მონაწილოებს პოლიტიკის განსაზღვრის, ფინანსების განაწილების და ნორმატიული აქტების განხილვის და დამტკიცების პროცესებში და ახორციელებს საზედამხედველო საქმიანობას, უზრუნველყოფს საზოგადოებასთან კომუნიკაციას და სამოქალაქო ჩართულობას, შიდა ორგანიზაციული პროცესების მართვას.

სტრატეგიული ამოცანა 1 – სამართლებრივი ბაზის და მისი აღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობა

კომისია წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომლის მიზანია საკრებულოში განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, ხოლო საკრებულოს უმთავრეს და ექსკლუზიურ ფუნქციას წარმოადგენს ნორმატიული ხასიათის რეგულაციების, ქცევის ზოგადი წესების დადგენა. შესაბამისად, კომისია განსაკუთრებულ როლს შეასრულებს და იღებს პასუხიმგებლობას, რომ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ დარგებში სამართლებრივი ბაზა იყოს გამართული. კომისია განახორციელებს სამართლებრივი აქტების მუდმივ მონიტორინგს, შეისწავლის დაინსტერესებული მხარეების საჭიროებებს, გაეცნობა დარგში არსებული კარგი პრაქტიკის მაგალითებს და ამაზე დაყრდნობით შეიმუშავებს დასკვნებს და ინიციატივებს.

სტრატეგიული ამოცანა 2 – დარგობრივი/ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის და საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი არის მუნიციპალიტეტის უმთავრესი პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს კონკრეტულ საჯარო სფერო(ებ)ში პრობლემების გადაწყვეტის ან/და საჯარო სერვისების განვითარების გზებს. გაანალიზებული პრობლემების საპასუხოდ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები შემდგომ თვითმმართველი ერთეულის „პრიორიტეტების დოკუმენტის“, ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების საფუძველი ხდება. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან ერთად, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ასევე ხელმძღვანელობენ პოლიტიკის სექტორული თუ თემატური დოკუმენტებით (სტრატეგიები, გეგმები და სხვა).

პოლიტიკის დოკუმენტებით განსაზღვრული შედეგები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების განხორციელებით მიიღწევა. შესაბამისად კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს და ხელს შეუწყობს პოლიტიკის დოკუმენტებით და საბიუჯეტო პროგრამებით განსაზღვრული შედეგების სინქრონიზებას, პოლიტიკის დოკუმენტების და ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართვას, მონიტორინგს გაუწევს პოლიტიკის დოკუმენტების ინდიკატორებით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევას.

კომისია უზრუნველყოფს დარგობრივი/სექტორული პოლიტიკის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგემების შესრულების მონიტორინგს და წარმოადგენს ინიციატივებს მათი გაუმჯობესების შესახებ.

სტრატეგიული ამოცანა 3 - საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ეფექტური საზედამხედველო მექანიზმების დანერგვით და განვითარებით, მუნიციპალიტეტში გაძლიერდება აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების

ანგარიშვალდებულება, აღმასრულებელი ორგანოს და თანამდებობის პირების საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართება, გაიზრდება მოქალაქეთა ინფორმირებულობა აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის შესახებ და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვა სათანადოდ გაკონტროლდება.

ამისთვის, კომისია უზრუნველყოფს ყველა შესაძლო საზედამხედველო ფუნქციის გამოყენებას და პრაქტიკაში დანერგვას. კომისია გარდა ყოველწლიური რუტინული ანგარიშების მოსმენის გაუმჯობესებისა, ასევე ხელს შეუწყობს ახალი მექანიზმების გამოყენებას, რომლებიც დაემატა და განისაზღვრა საკრებულოს რეგლამენტში და კომისიის დებულებაში. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებაში კომისიის ყველა წევრი ჩაერთვება და მათ შორის ფუნქციები მეტ-ნაკლებად თანაბრად გადანაწილდება.

სტრატეგიული ამოცანა 4 – კომისიის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება

საქართველოს მთავრობის 2020-2025 დეცენტრალიზაციის სტრატეგიის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისთვის აუცილებელია გადაწყვეტილების მიღების ავტონომიურობა, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა და მათ საქმიანობაში მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა და საზოგადოებრივი კონტროლის, შეფასებისა და ანგარიშვალდებულების ქმედითი მექანიზმების დამკვიდრება.

შესაბამისად, კომისია ამ სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შექმნის მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით გათვალისწინებული ინსტრუმენტების პრაქტიკაში დანერგვის შესაბამის პირობებს, დანერგავს ქალების, ახალგაზრდების და შშმ პირებისთვის კომისიის საქმიანობის პროცესში დამატებითი მონაწილეობის ინსტრუმენტებს, მოქალაქეებს ჩართავს პოლიტიკის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში, დანერგავს საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობის კარგი პრაქტიკის მაგალითებს (მონაწილოებითი ბიუჯეტირება და სხვა), ხელს შეუწყობს მოქალაქეთა მონაწილოების ინოვაციური (მათ შორის ციფრული) მექანიზმების დანერგვას, შედეგად გააძლიერებს საკუთარი საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოებასთან ანაგარიშვალდებულების ხარისხს.

6. სამოქმედო გეგმის განხორციელება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა კომისიას ეკისრება, თითოეულ აქტივობაზე კი, განსაზღვრულია კონკრეტული დეპუტატი

(თემატური მომხსენებელი). 2024 წლის მარტის მონაცემებით, კომისიის წევრები არიან:

1. ბაჩუკი ნაკანი (თავმჯდომარე)
2. ზაზა ფალიანი
3. ანზორ რატიანი
4. ირაკლი გირგვლიანი
5. გოჩა გიგლემიანი
6. შოთა გულედანი
7. დავით გვიჩიანი
8. გიორგი ხვისტანი

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები რაოდენობრივ ჭრილში შემდეგნაირად განაწილდება:



7. მონიტორინგი და ანგარიშგება

კომისია გეგმის დამტკიცებისთანავე დაიწყებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. კერძოდ, მონიტორინგის ეტაპზე გეგმაში წარმოდგენილ თითოეული აქტივობის ანალიზის შედეგად მიენიჭება სტატუსი, რომლის საფუძველზე

გამოითვლება განხორციელების დონის მაჩვენებელი, როგორც მთლიანად გეგმასთან მიმართებით, ასევე სტრატეგიული ამოცანების ჭრილში. თითოეული აქტივობის განხორციელებასთან დაკავშირებით მინიჭებული იქნება შემდეგი სტატუსები:

• სრულად განხორციელდა – 100%
• მეტწილად განხორციელდა – 51-99%
• ნაწილობრივ განხორციელდა – 1-50%
• არ განხორციელდა – 0%

წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, მონიტორინგის შედეგად დაიწერება წლიური ანგარიში, რომლებიც განხილული იქნება კომისიაზე და წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს. წლიურ ანგარიშში დაფარული იქნება ერთი წლის განმავლობაში სრულად განხორციელებული აქტივობები სრულად. ანგარიში გამოქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე.

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:

- შესავალი - ზოგადი ინფორმაცია კომისიის შესახებ; ინფორმაცია დოკუმენტის, მისი მიზნის და მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ
- კომისიის მთავარი მიღწევები და გამოწვევები
- სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ზოგადი შედეგები
- მონიტორინგის შედეგები თითოეული ამოცანის და აქტივობის შესრულების შესახებ

ეს ტექსტი და შესაბამისად ეს მექანიზმი დარჩება მოცემული ფორმით

8. სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1		სამართლებრივი ბაზის და მისი აღსრულების გაუმჯობესების ხელშეწყობა			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.		ნორმატიული რეგულაციების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციებ რაოდენობა			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.		ინიცირებული ნორმატიული აქტების ან/და ცვლილებების შესახებ კომისიის მომზადე დასკვნების რაოდენობა			
აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	
1.1.	თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებული ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში		
1.2.	ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვის მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებული ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში		
1.3.	ტურიზმის განვითარების პროექტების, ტურისტული მარშრუტების ორგანიზებისა და ტურისტული ნაკადების მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული ბაზის შეფასება/საჭიროებების და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	შეფასებულია სფეროში არსებული ნორმატიული აქტები, მომზადებულია კომისიის დასკვნა და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში		
ამოცანა 2		დარგობრივი/ინსტიტუციური განვითარების პოლიტიკის და საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.		პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.		საბიუჯეტო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით მომზადებული რეკომენდაციების რ			
აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	

2.1.	მუნიციპალიტეტის განვითარების/ინსტიტუციური პოლიტიკის დოკუმენტების და მათი სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება	შემუშავებულია მუნიციპალიტეტის განვითარების და მინიმუმ ერთი დარგობრივი განვითარების დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) და მათი სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში	შეფასების ანგარიში		
2.2.	ბუნებრივი რესურსების დაცვისა და განვითარების სფეროში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში		
2.3.	თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული კომუნალური მეურნეობის მართვის სფეროში არსებული მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამების და მათი შესრულების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება	ჩატარებულია მინიმუმ 1 შეფასების ანალიზი და შემუშავებულია არანაკლებ 3 რეკომენდაცია	შეფასების ანგარიში		
ამოცანა 3		**საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება**			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.		გამოყენებული საზედამხედველო მექანიზმების ჯამური რაოდენობა და ჯერადობა			
აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	
3.1.	კომისიის სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევა (სავალდებულო დასწრება)	ჩატარებულია განხილვების N რაოდენობა რომელსაც ესწრებოდა ანაგრიშვალდებული თანამდებობის პირი (სავალდებულო დასწრება)	კომისიის სხდომის ოქმი		
3.2.	საკრებულოს სხდომაზე თანამდებობის პირის მოწვევის ინიცირება	დაინიცირებულია საკრებულოს სხდომაზე ანაგრიშვალდებული პირების მოწვევის შესახებ N *რაოდენობა* კომისიის ინიციატივა	საკრებულოს სხდომის ოქმი		
3.3.	საკრებულოსადმი ანგარიშვალდებულ ორგანოთა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშების მოსმენა (ყველა ანგარიშვალდებული პირის მიმართ ცალ ცალკე აქტივობა)	ჩატარებულია ანგარიშვალდებული თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ N *რაოდენობა* მოსმენა	ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის ანგარიში, კომისიის სხდომის ოქმი		
3.4.	თემატური მომხსენებლის მიერ X საკითხზე ანგარიშის მომზადება და კომისიის სხდომაზე განხილვა	შემუშავებულია 1 ანგარიში X საკითხზე დანიშნული თემატური მომხსენებლის მიერ	თემატური მომხსენებლის ანგარიში		
3.5.	X საკითხზე თემატური მოკვლევის ჩატარება	ჩატარებულია 1 თემატური მოკვლევა	თემატური მოკვლევის ანგარიში		
ამოცანა 4		**კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება**			
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.					

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.3.		ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსში კომისიის სხდომებში არანაკლებ 30%-ი გაზრდილი მოქალაქეთა მონაწილეობის მაჩვენებელი			
აქტივობა		**ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**თემატური მომხსენებელი**	
4.1.	კომისიის საქმიანობის შესახებ ახალი ამბების, ანონსების, დღის წესრიგის, კომისიის სხდომის ოქმების და საქმიანობის ანგარიშების გამოქვეყნება საკრებულოს ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელში	გამოქვეყნებულია არანაკლებ 15 ახალი ამბავი, ანონსი, ყველა სხდომის წინ კომისიის სხდომის დღის წესრიგი, ყველა კომისიის სხდომის შემდეგ კომისიის სხდომის ოქმი (სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში) და კომისიის საქმიანობის ანგარიში	მუნიციპალიტეტის ვებგვერდი, მუნიციპალიტეტის სოციალური ქსელი		
4.2.	კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება დამტკიცებული ფორმის შესაბამისად	მომზადებულია წლიური ანგარიში	კომისიის წლიური ანგარიში		
4.3.	კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანაგრიშის გამოქვეყნება და საჯარო განხილვის ჩატარება	ჩატარებულია კომისიის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის მინიმუმ 1 საჯარო განხილვა	საჯარო შეხვედრის ოქმი		
4.4.	2025 წლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მომზადება	მომზადებულია/განახლებულია კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა	კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა		
4.5.	კომისიის საქმიანობის და საკრებულოს საზედამხედველო ფუნქციის შესახებ მოქალაქეებთან/დაინტერესებულ პირებთან ინფორმაციული შეხვედრების ჩატარება	ჩატარებულია მინიმუმ 3 შეხვედრა, თითო შეხვედრაზე მინიმუმ 10 დაინტერესებული პირის მონაწილეობით	საჯარო შეხვედრის ოქმი		
4.6.	კომისიის სხდომებზე მოქალაქეთა დასწრებისთვის განკუთვნილი სივრცის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა (მათ შორის ციფრული ინფრასტრუქტურის)	(ინდივიდუალურად ყველა კომისიის შემთხვევაში საჭიროებისამებრ გაიწერება აქტივობის ინდიკატორი)			